მეცამეტე წელი

Treizième année

საქართველო უწინარეს ყოვლისა

თეთრი გიორგი

ეროვნული დაარაზმულობა თეთრი გიორგის ორგანო

„Thethri Guiorgui'' journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens THETHRI GUIORGUI.

№ 102 ივლისი 1938 წ. პარიზი Paris, Juillet 1938. № 102

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე რამ „ვეფხის - ტყაოსნისა"-თვის

თითქმის შვიდ ნახევარი საუკუნე გავიდა მას ‘ემდეგ, ოაც შოთა რუსთველმა „ვეფხის-ტყაოსანი" დაწერა და ამ საუკუნეთა გახანგრძლივებაში სიდიადე ამ საკვირველი ქმნილებისა არა თუ არ დაჩრდილულა, არამედ უფრო ცხად იქმნა ქართველი ერისათვის და ყველა კულტურულ ერთათვისაც. ქართველი ერი მას ‘ვიდ ნახევარი საუკუნე კითხულობს და განიცდის სულიერ სიტკბოებით, ხოლო უცხოთ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში სთარგმნეს იგი, იგრძნეს რა სიდიადე მისი, და ბოლოს მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ საქართველოსთან ერთად გენიოსის პატივით მოიხსენია რუსთველი, იდღესასწაულა შვიდას ორმოცდაათი წლის გასვლა მისი შემოქმედების დროითგან და კვლავ ახალი თარგმანები შეეძინა მსოფლიო მწერლობას „ვეფხის-ტყაოსნისა".

რით მოქმედობს „ვეფხის-ტყაოსანი" ისე ძლიერად მკითხველზედ, უპირველეს ყოვლისა კი ქართულის კარგად მცოდნე მკითხველზედ, რომ მისი წაკითხვა ათჯერ, ასჯერ და ათასჯერაც შეიძლება მოუწყენლად?— ბევრი რამით: განათლებული, თვით კულტურონანი, მსოფლიო და კერძოდ ძველი საქართველოს კულტურის მცოდნე მკითხველი პოულობს „ვეფხის-ტყაოსანში" მართლაც იმდენ „კულტურას", ისე დახვეწილს და მაღალს, ისეთ სისრულემდე მიღწეულს, რომ ასეთ ატმოსფეროში მისი სული ისვენებს, და მას მოთხოვნილებად ექცევა, ხშირად ნახოს ხოლმე იქ განსვენება ცხოვრების ყოველ დღიური სიტლანქისაგან და უშვერობისაგან შეწუხებულმა. „ვეფხის-ტყაოსანი" გამარჯვების საგალობელია, აღმაღლებული კეთილისადმი, რომელიც ხანგრძლივი და ძლიერი ბრძოლით ბოროტს ამარცხებს. და რათგანაც ყოველი ადამიანის ცხოვრება ბოლოს და ბოლოს ეს ბრძოლაა და ნორმალური ადამიანის სული არასოდეს შეიძლება კმაყოფილი იქმნეს, თუ არ იხილა თავისთვისაც და საზოგადოდაც გამარჯვება იმისა, რასაც იგი „კეთილს" უწოდებს, ამიტომ განიცდის „ვეფხის-ტყაოსნის" მკითხველი უდიდეს სიხარულს, როდესაც რუსთველის სიტყვით მოთხრობილ ამბავში „კეთილი" სძლევს „ბოროტს", — კეთილი, რომლის „არსება გრძელია" — სიყვარული, ეს უტკბესი და უკეთილშობილესი გრძნობა ადამიანისა, ეს უდიდესი სიხარული მისი ცხოვრებისა, — სიყვარული მიწიერი, მაგრამ მაღალი, რომელიც ღვთის ნიჭია კაცისათვის განკუთვნილი და თვით ღმერთთან სულიერად შეერთების მიბაძვაა და არა ბილწი სიძვა და მრუშობა, რომელსაც საერთო არა აქვს რა სიყვარულთან, აი რის მიუწვდომელ მშვენიერობასა და ძალას ჰხედავს მკითხველი „ვეფხის-ტყაოსანში". სიყვარულის ვნება ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, ავთანდილისა და თინათინისა, მათი ბრძოლა ამ უდიდესი ბედნიერების, ამ ქვეყნიური სამოთხის მოპოებისათვის, ადამიანის ცხოვრების უმძიმესი მაგრამ უმშვენიერესი ეპოპეაა, და ამიტომ ჰპარავს ცრემლს „ვეფხის-ტყაოსნის" მკითხველს მის გმირთა ამბავი. მასაც აგონდება თავისი „ტარიელობა" და ავთანდილობა", ან „ნესტან დარეჯანობა" და „თინათინობა", რამდენადმე მაინც მეგობრობა, ერთგულება ძმად ან დად შენაფიცართა ურთიერთის მიმართ,—ეს მეორე უდიდესი და უკეთილშობილესი გრძნობა, რომელიც ქალ-ვაჟთა სიყვარულსაც კი შეეწონების ძლიერებით და გადაძლევასაც უპირებს, მაგრამ ბოლოს მაინც მას უნდა დაუთმოს პირველობა, როგორც ხშირად მისმა მსახურმა, აი კიდევ რა არის აღწერილი „ვეფხის-ტყაოსანში" ისეთი გულით, რომ მკითხველს „კაცობის" ან „ქალობის" თვალ-მოუშორებელ იდეალად ესახებიან „ვეფხის-ტყაოსნის" გმირები. — რაინდობა „მადლისაგან" განუშორებელი, ისეთი, რომ, ნამდვილმა რაინდმა „ორგული და მოღალატე ნამსახურსა" დაამგვანოს, რათგანაც „ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიმგულვანე" — აი კიდევ რა აყვარებს რუსთველის გმირებს ისეთ მკითხველს, რომელიც „მადლის" გრძნობას ატარებს და რაინდობას „კაცობის" უაღრეს მიხწევად განიცდის. სიყვარული, მეგობრობა და პატივისცემა გამზრდელ-გაზრდილთა ურთიერთის მიმართ, განწყობილება პატრონ-ყმათა შორის, ერთგულებაზედ, სიყვარულზედ, ურთი-ერთისა ‘ინაშე მოვალეობათა აღსრულებაზე დამყარებული, — თვით „მეძავი" ფატმანის სიყვარული, მაგრამ ამავე დროს თავგანწირულება მეგობარი ქალისათვის — ყოველივე ესეც შედის იმ სათნოებათა კრებულში, რომელთა მქონე გმირები „ვეფხის-ტყაოსნისა" თავიანთი ბედით იტაცებენ მკითხველს.



„ვეფხის-ტყაოსანი" უაღრესად რეალისტური მწერლობის ძეგლია. ბედი მის გმირთა, მათნი ვნებანი მარადის ადამიანურნი არიან. თუ ღმერთი კეთილისა კეთილის მომცემია, არ დამბადებელი ბოროტისა, ეშმაკი ბოროტის დასაბამია და მებრძოლი კეთილისა. და ადამიანსაც მასთან უხდება ბრძოლა ბედნიერების მოპოებისათვის. ეშმაკის მიერ დაბრკოლება აუცილებელია ამ კეთილის მიხწევის დროს. რომ რაინდი ტარიელი იძულებულია არა რაინდულად მოჰკლას თავისი მეტოქე მძინარე ხვარაზმშა, „დედალთა" საქმე ჩაიდინოს, „ეშმაკის" მიერ მოწყობილ გარემოებას უნდა მიეწეროს. „ეშმაკის" მიერვე მოწყობილ გარემოებაში ჩადის რაინდი ავთანდილი არა რაინდულ საქციელს, ჰკლავს მძინარე ჩაჩნაგირს, შეიყვარებს ფატმანს, ჩადის მეორე „უსგავსო საქმეს". ერთობ ბრძოლა „ვეფხის-ტყაოსნის" გმირთა ბედნიერებისათვის ეშმაკის მანქანებათა წინააღმდეგ ხდება, რათგანაც კეთილს ბოროტი დასდევს მარადის მტრად, და თუმცა კეთილი ბოლოს იმარჯვებს, მაგრამ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია". და აი ამ ორი დიდი დასაბამის ბრძოლა და ერთის გამარჯვება აღწერილი „ვეფხის-ტყაოსანში" ისეთი რეალიზმით, რომ მკითხველი იქ თავისი ბედის სრბოლას ხედავს და ამიტომ იტაცებს მას „ვეფხის-ტყაოსანის" გმირთა ბედიც, სტირის მათთან და იხარებს მათთან.

ბოლოს „ვეფხის-ტყაოსანი" მართლაც „წყაროა სიბრძნისა", აღსავსე დიდი აზრებითა. რუსთველის მიერ თავისუფლად გამოთქმული სიბრძნენი, ხან დამაფიქრებელნი, ხან აღმაფრთოვანებელნი და ძალის მიმნიჭებელნი, აგრეთვე იტაცებენ მკითხველს, ცხოვრების მორევში მცურავს და მებრძოლს, ვინაითგან იმ სიბრძნეთ, იმ იდეათ გარდაუვალი მნიშვნელობა აქვს, — დღესაც იგივე, რაც ჰქონდა რუსთველის წინად და რუსთველის დროს და მარად ექმნება.

ყოველი ესე ჰქმნის „ვეფხის - ტყაოსანს" განსაზღვრული მსოფლიო-ხედვის წიგნად და ასეთ მსოფლიო-ხედვაში შესვლა ათასჯერაც არ მოსწყინდება მკითხველს, იმდენად დიდია იგი და იმდენად შეიცავს ყოველივე კეთილშობილს, ამაღლებულს და შვენიერს, რაიცა კულტურულ კაცობრიობას ათას წელთა სულიერი განვითარების შემდეგ იდეალად დაუსახავს.

მაგრამ „ვეფხის-ტყაოსნის" მიმართ განუსაზღვრელი სიყვარული მკითხველისა უმთავრესად ყველა ამით კი არ აიხსნება, რაც „ვეფხის-ტყაოსანშია", ის ბევრ სხვა წიგნშიაც არის, მაგრამ მას „ვეფხის-ტყაოსნის" მომხიბლაობა არ ჰქონია და არა აქვს. „ვეფხის ტყაოსანის" უდიდესი ძალა რუსთველის ხელოვნებაა, რუსთველის დიდი გენიოსობა, როგორც სიტყვის ხელოვანისა. რაცა „სთქვა" რუსთველმა დიდია, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის, თუ როგორცა „თქვა" მან თვისი „ამბავი". „ვეფხის-ტყაოსანი" **ლექსია**, ლექსი კი სიტყვათა მუსიკაა, და ეს სიტყვათა მუსიკა რუსთველისა მართლაც ‘ეუდარებელია, შეიძლება მსოფლიო პოეზიაში უცალო. იგი იმდენად წარმტაცია, რომ ხშირად მკითხველი წინადადებათა აზრსაც აღარ აქცევს ყურადღებას, არც შეცდომათ ტექსტის გადამწერთა და გამომცემელთა და გაუგებარ ადგილებს მოთხრობისა. ვის არ განუცდია ეს „ვეფხის-ტყაოსნის" კითხვის დროს! და ეს არის ის უძლიერესი საჭურველი, რომლითაც „ვეფხის-ტყაოსანი" კლდესავით ურყევად სდგას, უძლეველი განმქიქებელთა მიერ, და მარადის უძლეველი დარჩება, რა მხრითაც არ უნდა მიუდგეს მას კრიტიკა და არ მოინდომოს წაართვას მას მარადისობა, უკვდავება. ისე როგორც შექსპირს დანტეს, ვაგნერს ვერა დააკლეს რა უდიდესმა კრიტიკოსებმაც კი, თვით მიეცნენ დავიწყებას, ხოლო მათგან უარყოფილნი კერპნი კვლავ დგანან თვალაუწვდენელნი მთებივით და მათ ვერა შეარყევს რა, სანამ კულტურული კაცობრიობა იარსებებს, ისევე რუსთველი ვერავინ შესძრა და ვერც ვერავინ შესძრავს მას მისი სიდიადის კვარცხლბეკითგან.

„გიყვარდე, რათგან ღირსი ვარ შენი სიყვარულისა, მსწავლობდე, მიკვლევდე, რათგან საუკუნეთა უბედობამ ჩემი მშობელი ერისა მტვერი წამაყარა და მომაშორე ეს მტვერი, სავსებით მოგვფინე ნათელი მე და ჩემს შემომქმედს, გამათავისუფლე მათგან, ვინც საუკუნეთა განმავლობაში მაწამებდა — მავსებდა და მასწორებდა, ზოგი სიყვარულით, ზოგი შეიძლება მტრობითაც, სხვად კი— **noli me tangere!** აი რას ეუბნება „ვეფხის-ტყაოსანი" ყველას, ვინც მას რაიმე ინტერესით უახლოვდება.

აი ეს გარდაუვალი ხელოვნებითი ღირებულება არის შემქმნელი „ვეფხის-ტყაოსნის" უკვდავებისა. და უკვდავნი ქმნილებანი ბევრნი არ არიან მსოფლიო მწერლობაში. ბევრნი არიან დიდნი, ნახევრად უკვდავნი, მაგრამ სრულიად უკვდავნი — ცოტანი, თითებზედ ჩამოსათვლელნი — და მათ შორის „ვეფხის ტყაოსანი". ეს ჰკითხულობს ‘ღეს მთელი ქართველი ერი, ისევე როგორც ჰკითხულობდა მთელი შვიდასი წლის განმავლობაში. იქ სწავლობდა სიბრძნეს, გრძნობდა შვენიერებას, იკეთილშობილებდა სულს, იძენდა „კაცობას" ან „ქალობას", სიმხნეს, იჭურვებოდა და ივსებოდა იმედით და არ სწყინდებოდა და არც მოსწყინდება აროდეს კითხვა მისი, რათგანაც სიტყვის მუსიკა რუსთაველისა შეუძლებელია ქართულად მეტყველს მოსწყინდეს, და არც ქართულის მცოდნე უცხოს მოსწყინდება იგი, როგორც ბერძნულის მცოდნე არა ბერძენს ჰომეროსის კითხვა არასოდეს მოსწყინდება... ეს არის დიდი საამაყო ქართველი ერისათვის, რათგანაც ბევრ მასზედ უფრო ძლიერ და დიდ ერს, შემქმნელს დიდი მწერლობისა, „უკვდავი" და „გარდაუვალი", მსგავსი „ვეფხის-ტყაოსანისა" ვერ შეუქმნია!...

დიდი და რთული საქმეა რუსთველის კვლევა — რუსთველოლოგია: რუსთველის ვინაობისა, მსოფლიო-ხედვისა, იმ კულტურული ატმოსფეროსი თამარის დროის საქართველოში, სადაც რუსთველი დაიბადა და დიდ ხელოვნად აღიზარდა და სხვ. ამ კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის განსაკუთრებით განსვენებულ ნ. მარს, პ. ინგოროყვას და ზ. ავალიშვილს. თვით უარყოფით დასკვნებსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვთ პრობლემათა გამოთქმისა და მათი კვლევის შემდეგ. მაგ. ჯერ არ ვიცით ნამდვილი ვინაობა შოთა რუსთაველისა, რომელიც თამარ მეფის დროს სცხოვრობდა. ინგოროყვას თეორია, რომ იგი უნდა ყოფილიყო ჰერეთის ერისთავი შოთა, ბაგრატოვანთა გვარისა, არ არის დამარწმუნებელი, და მკვლევარმა მესხეთს უნდა მიმართოს ამ საკითხის გამოსაკვლევად. ეაც ოუსთველისა უდავოდ ნომ ‘ესხეთია და აია ‘ეოეთული. — ოუსთაველი არც ‘ესულ‘ძახი იყო, ოოგოოც ეს ეოთხელ ‘ძაოს ეგონა, და არც ‘ახიქველი, ოოგოოც ეს იხგოოოყვას ‘ჰგოხია, არამედ ისეთივე „‘ძაოთლ-‘ძადიდებელი ქრისტიანე", როგორც სხვა მისი თანამედროვენი ქართველი ‘ძერლები.. მისი ‘ძიზახი სრულიად არ ყოფილა რაიმე რელიგიური იდეა გაებატონებინა „ვეფხის-ტყაოსახ‘ში", ‘ძაგრამ მისი ღმერთი (**ერთი** ღმერთი, ან ‘ძეიძლება სამებით ერთიც, როგორც შაველისა და ‘ნახრუხაძის!) რატომ არ უნდა იყოს ღმერთი ქრისტიანეთა, არამედ სხვა! ხოლო ქრისტიანული მწერლობის ცოდნა რუსთველისაგან „ვეფხის-ტყაოსანს" ცხადად ეტყობა, ‘ა‘ძინ როდესაც კურანისა ‘ძიგ არაფერია. „ეფხის-ტყაოსნის" გმირებიც ნამდვილი ქართველებია, „ქრისტიან-დასავლელები" და არა „‘ა‘ჰმადიან აღმოსავლელები". ‘ა‘თ ‘ძხოლოდ „‘ა‘ძბავ‘ში" მიცემული აქვთ გარეგხული სახე ‘ა‘ჰმადიანთა. რუსთაველი არც გასა‘ღვოულ ფილოსოფიურ სკოლას ეკუთვნის, იგი არც პლატოხიკოსია, არც ნეოპლატონიკოსი და არც სტოელი სავსებითი, არც სუფი, და არც ‘ა‘შუალო საუკუნის სკოლასტიკოსი, არამედ ‘ა‘ს თავისი მსოფლიო ხედვა აქვს. ქართული ე. ი. უფრო დასავლური ვიდრე აღმოსავლური. და თუ „ვეფხის-ტყაოსახ‘ში" მოიპოვება ელემენტები პლატოხური, ნეოპლატონური ან სხვა დასავლურ-აღმოსავლური ფილოსოფიისა და მსოფლიო ხედვისა, ეს რუსთველის დიდი განათლების შედეგია. იგი ამ ელემენტებით სარგებლობს თავისი მიზნისათვის, თვისი ‘ძსოფლიო ხედვისა და ხელოვნებისათვის, — სარგებლობს თავისუფლად, ვითარცა ბატონი სიტყვისა და ზრახვათა. და თვით ის უძველესი წარმოდგება ‘ხარატუსტრასი კეთილისა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის ბრძოლისა, რომელიც „ვეფხის-ტყაოსახ‘ში" გვხვდება, უპირველეს ქრისტიანობა‘ში იყო ‘ესული და ქცეული მის განუყოფელ და საუკეთესო ნაწილად.

შორს წაგვიყვანდა აქ ყველა ამაზედ მსჯელობა. ვიტყვით მხოლოდ, რომ საუკეთესო კულტურულ-და-ლიტერატურულ - ისტორიული გამოკვლევა „ვეფხის-ტყაოსნისა" ბ. ზ. ავალიშვილის კალამს ეკუთვნის (იხ. ‘ძისი „ვეფხის ტყაოსანის" საკითხები. პარიზი 1931 წ.) იქ ‘ხვდავს მკითხველი რუსთველის დროის კულტურულ ატ‘ძოსფეროს საქართველო‘ძი და სხვა და სხვა ელემენტებს უცხო კულტურათა „გავლენისას" ამ ატმოსფეროზედ და „ვეფხის-ტყაოსანზედ" რომელიც იქ წარმოიშვა. მხოლოდ ერთი არა გვწამს ზ. ავალიშვილის წიგნში: „ვეფხის-ტყაოსნის" ვაჟთა მიჯნურობა — მეგობრობის გაგება მის მიერ. ეს ადგილი მისი შესანიშნავი წიგნისა დაუსაბუთებელია, ეწინააღმდეგება არა თუ მთელს „ამბავს" „ვეფხის-ტყაოსნისა", არამედ მის სულს, რუსთველის გაგებას მიჯნურობისა და მეგობრობისა. აქაც შორს წაგვიყვანდა მსჯელობა, ვეტყვით მხოლოდ ბ. ზურაბს სრულის პატივისცემით და მეგობრობით: „კარგი მკვლევარი იგია ვინ იქმს შეცდომის გმობასა"...

ბოლოს, ცოტა რამ „ვეფხის-ტყაოსნის" სპარსულობის შესახებ. „სპარსული", რომ საკუთრივ სპარსულადაც არ გავიგოთ, მთელი აღმოსავლეთის მწერლობაში არ მოიპოვება „ვეფხის-ტყაოსანის" მსგავსი შინაარსის ამბავი. მარრმაც და სხვებმაც (თვით მარის ‘ძემ, განსვენებულმა გიორგიმ) ბევრი ეძებეს ეს მსგავსი რამ, ორიგინალი ამბავისა, თითქოს წინად ქართულად ნათარგმნი, და შემდეგ გალექსილი რუსთველის მიერ, მაგრამ ეს ძებნა უშედეგო გამოდგა. ხოლო თუ ავიღებთ არა მარტო თვისებათ „ვეფხის-ტყაოსნის" გმირთა, რომელნიც ქართულნი არიან და არა „სპარსნი", არამედ თვით ამბავს, იქ უპირველეს ყოვლისა თამარის პირველი ისტორიკოსი გვაგონდება: ტახტზედ ასვლა თამარისა, აღწერა მ‘ა‘ შვენებისა და სხვა თვისებათა, თვით გამოთქმანი ბევრ ადგილს მისი მოთხრობისა იმდენად ‘ჰგვანან „ვეფხის-ტყაოსნის" მოთხრობათა და გამოთქმათ, რომ კაცს ეჭვი ებადება, თამარის ეს პირველი ისტორიკოსი თვით რუსთველი ხომ არ იყო, რომელმაც თქვა „ქებანი" თამარისა?... ყოველ შემთხვევაში, სრულიად მართალია პ. ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოროყვა (იხ. მისი „რუსთველიანა“ I, გვ. 54 და შემდ.), ოდესაც იგი ტაეპს „ესე ამბავი სპარსული“ და სხვ. ჩამატებულ ტაეპად სთვლის. ხოლო, რომ კიდევაც ჩამატებული არ იყოს იგი, როგორ შეუძლია გონიერ მწერლობის ისტორიკოსს „ვეფხის-ტყაოსნის“ „ორიგინალობის“ საკითხი დააყენოს იმიტომ, რომ შოთამ შეიძლება მართლაც თავისი ქმნილების „ამბად“ ქართულად ნათარგმნი სპარსული ამბავი აიღო. მაშინ ხომ უდიდესი ქმნილებანი შექსპირისა, გოეთესი და სხვანი „ნახევრად ორიგინალურნი“ იქნებოდნენ! ეს ცოდვა „ვეფხის-ტყაოსანის“ წინაშე კ. კეკელიძემ ჩაიდინა, მაგრამ აქ ადგილი არ არის რომ მას გამოუდგეთ.

„ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანები ბევრია სხვა და სხვა ენაზედ, — ზოგი „კარგი“, ზოგი უფრო მდარე, ზოგი სიტყვა სიტყვით, ზოგი თავისუფალი. ბევრ ადგილს „ვეფხის ტყაოსნისა“ კარგ თარგმანშიაც შეუძლია მკითხველს რუსთველის გენიოსობა აგრძნობიოს, მაგრამ ყველას არა. აი აქ არის ერთი დაბრკოლება. „ვეფხის-ტყაოსანს“ ჩვენამდე დამახინჯებულსა და ნაწვალებს მოუხწევია. ხელნაწერები მე-16—17 ს. ასეთებია და ის ხელნაწერებიც, რომელიც ვახტანგ მეფეს „ვეფხის-ტყაოსნის“ პირველ გამომცემელს ჰქონია ხელთ, უკეთესი არ იყო. და უპირველესი საქმე ფილოლოგებისა უნდა იყოს „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის გაწმენდა ჩართულ ტაეპთაგან და აღდგენა გადამწერთაგან დამახინჯებულ სიტყვათა. ეს ბევრმა სცადა — განსვენებულმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა მეოთხმოცდაათიან წლებში („მოამბეში“), ოდნავ ყველა გამომცემლებმა, შემდეგ (ნაწილობრივ) ნ. მარრმა და ჰ. ინგოროყვამ, ი. აბულაძემ, კ. ჭიჭინაძემ და სხვებმა, მაგრამ ამ დიდი საქმის დასრულებას ჯერ კიდევ დიდი ხანი და მრავალ მეცნიერთა შრომა სჭირდება. დასრულდება რა იგი, მაშინ წარმოგვიდგება თვალის-წინ რუსთველის მზით სავსე ქმნილება, თუ მისი მთელი პირველყოფილი ბრწყინვალებით არა, უმეტესად მაინც მართალი და მაშინ ზოგიერთი მნიშვნელოვანი კერძო საკითხიც გამოირკვევა „ვეფხის-ტყაოსნისა“ და მთარგმნელიც ტექსტს გადათარგმნის და არა მრავალს აზრით მიმხვდარს თვით დასწერს, როგორც ახლანდელნი მთარგმნელნი მისი იძულებულნი არიან ჰქმნან, რათგანაც ტექსტი ბევრგან გაუგებარია და ვის როგორც ესმის, ისე სთარგმნის.

ჩვენცა ვთარგმნეთ „ვეფხის-ტყაოსანი“ გერმანულ ენაზედ, მაგრამ თარგმნამდის აგრეთვე შეეცადეთ აღგვედგინა და გაგვეწმინდა ტექსტი. ბევრი საინტერესო დასკვნა იყო ჩემთვისაც აუცილებელი ამ მუშაობის დროს: 1) „ვეფხის-ტყაოსნის“ ის ძველი ხელნაწერები, რომელთა პირები ცნობილი ხელნაწერებია, დაზიანებული ყოფილა, ჰკლებია ადგილები და იგინი შეუვსიათ გადამწერლებს. ეს დიდი ხანია შენიშნულია და კ. ჭიჭინაძემ თავის გამოცემაში „ვეფხის-ტყაოსანისა“ და ბერლინის უნივერსიტეტის ახალგა გამოცემამ დაკარგული უდიდესი ადგილის შევსება — ტარიელის ინდოეთში დაბრუნების ამბავი — ტექსტში შეიტანეს!

2) „ვეფხის-ტყაოსანში“ დამახინჯებული სიტყვები და გაუგებარი ადგილები მე-16—17 ს. გადამწერალთა ბრალია, რომელთაც არც ესმოდათ ხშირად აზრი ტექსტისა (შეადარეთ მაგ. ე. თაყაიშვილის გამოცემა მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ას) ან და ზეპირად იცოდენ ბევრი ადგილები და როგორც ახსოვდათ სიტყვები, ისე სწერდნენ.

3) დაზიანებულ ხელნაწერში ნაწილობრივ ან მთლად წაშლილ ან წახეულ სიტყვათა აღდგენას და შევსებას ცდილობდენ და ეს მათი აღდგენა და შევსება ხშირად სწორი არ იყო. აქედან არის მრავალი გაუგებარი ადგილი „ვეფხის-ტყაოსანში“ უცნაური ფორმა და სიტყვა. ბევრი მკვლევარი შესცდა და მათ რაღაც უცნაური მნიშვნელობა მიაწერა, მიუხედავად იმისა, რომ არც სინტაქსი ქართულისა ამის ნებას არ იძლევა და სიტყვაც არ არსებობს და არც არსებულა აროდეს. ზოგიერთი მკვლევარი კი იქამდე მივიდა, რომ რუსთველი ქართული სიტყვათა წარმოების კანონთა უარისმყოფელად დასახა! ხოლო რუსთველს მართალია აქვს თავისუფალი სიტყვათა წარმოება, მაგრამ არც ერთი, რომელიც ამ კანონთ ეწინააღმდეგებოდეს!

4) ბოლოს, „ვეფხის-ტყაოსნის“ გადამწერთ, რომელთაც მელექსეობის სიყვარული ჰქონდათ, ხშირად არა უნიჭოთაც, უვარჯიშნიათ თვით ნამდვილი ტექსტის ვითომც სრულ-ქმნად, საკომენტაროდ, მაჯამებით შესამკობად და თავიანთი „ნაჭორვები“ ჩაუქსოვიათ „ვეფხის-ტყაოსანში“.

იმედი მაქვს სიცოცხლეში ვიხილო „ჩემი“ „ვეფხის-ტყაოსანი“ დაბეჭდილი მისი გერმანული თარგმანით. ეს იქნება ძველი დიდი ქართველი გენიოსისადმი საიუბილეოდ მიძღვნილი იმ ქართველისაგან, რომლის სახლში „ვეფხის-ტყაოსანი“ ქალმა და კაცმა ზეპირად იცოდა და რომელმაც ჯერ წერა-კითხვაც არ იცოდა კარგად მაგრამ „ვეფხის-ტყაოსნის“ თავებს კი ზეპირად ეტყოდა ხოლმე სტუმრებს მათ შესაქცევად, — ძღვენი „ვეფხის-ტყაოსნის“ არა სპეციალისტისა, ხოლო სიყრმითგან მოხუცებამდე ნაზარდი სიყვარულისა ამ უკვდავი ქმნილებისათვის.

მ. წერეთელი

მარტივი საუბარი

ჟურნალი „კავკასია“ და ტერიტორიის საკითხი

თერთმეტ წელზედ მეტია, რაც გაზ. „თეთრი გიორგი“ გამოდის, მაგრამ საქართველოს ტერიტორიალურ საკითხს საერთაშორისო ნიადაგზედ არასდროს არ შევხებივართ. იმიტომ, რომ ჯერ არც დროა ამისი და თანაც არც უფლება გვაქვს. დიდი უტაქტობა იქნებოდა ეხლა მსჯელობა, რომელიმე პარტიის მიერ, შესახებ იმისა, თუ რა ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა უნდა დაეთმოს მეზობლებს. ამ საკითხს განსაზღვრულ ჟამს, ღა გარემოებათა მიხედვით ქართველი ერის მანდატურები გადასწყვეტენ.

ხოლო თუ ქართული პარტიები ასე ადვილათ არ ეხებიან ამ მძაფრ და ფაქიზ საკითხს, რა უფლებით და ვისი დავალებით არიგებს საქართველოს მიწა-წყალს, მართალია ჩვენი მოძმე, მაგრამ მაინც გარეშე პირი ბ-ნი ჰ. ბამატი? თუ იგი კავკასიის კონფედერაციის სახელით ლაპარაკობს, ჩვენ უწყით, რომ კავკასია, როგორც პოლიტიკური ერთეული ჯერ არ არსებობს და მაშასადამე არც ტერიტორია გააჩნია და რაც არ გააჩნია ვერც გაიბოძებს. ოსმალეთთან საქართველოს აქვს საერთო საზღვრები და არა დაღესტანს. ამიტომ ვსთხოვთ, მოწიწებით ბ-ნ ბამატს გვაცალოს. ჩვენ თვითონ მოურიგდებით ჩვენ მეზობელს როცა ამისი დრო დადგება. სრული დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს ჟურნალი „კავკასია“, რომ მიუხედავად ათასი შინაგანი უთანხმოებისა ქართული პოლიტიკური წრეები და პირნი გამოვნახავთ საერთო გზას ამ მხრივ, ავიღებთ საერთო გეზს და კიდევაც მტკიცედ დავიცავთ მას. სულ სულელი უნდა იყოს ის ქართველი, რომელს ოსმალეთთან მეგობრობა არა სურდეს. ოსმალეთთან კეთილი მეზობლობა აუცილებელია ჩვენთვის. მაგრამ მეგობრობა, როგორც ცოლ-ქმრობა, ორმხრივობას საჭიროებს და თუ ოსმალეთს ჩვენთან მეგობრობა სურს, ყელში თოკი არ უნდა წაგვიჭიროს.

ვის შეუძლია ეხლავე სთქვას რა ტერიტორიებს დავიბრუნებთ, რას შევინარჩუნებთ და რას წაგვგლეჯენ კიდევ? ეს ხომ დამოკიდებულია საერთაშორისო მდგომარეობაზედ, ძალთა განწყობილებაზედ და სხვა მრავალ ჯერ განუსაზღვრელ პირობებზედ?!

ხოლო ამჟამად ამის შესახებ ლაპარაკი, მეტადრე დაცვა მეზობელთა უფლებებისა საქართველოს მიწა-წყალზედ არის არა მხოლოდ ნაადრევი, არამედ მეტად მავნეც ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის და ამ მავნე საქმეზედ ჟურ. „კავკასიამ“ ხელი უნდა აიღოს.

ჟურნალი „კავკასია“ არ უნდა ერეოდეს აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეებში. კარგია თუ ავი, ჩვენი ყოფილი მთავრობა, ან მენშევიკური პარტია ეს საქართველოს საქმეა. როდის გაგერიეთ ჩვენ ჩრდილო კავკასიის შინაგან უთანხმოებაში? ჟურნალი კავკასიის დანიშნულება სულ სხვა უნდა იყოს: იგი უნდა იცავდეს კავკასიის კონფედერაციის იდეას, მისი დაარსების აუცილებლობას; იკვლევდეს მისი განხორციელების გზებს და საშუალებებს. ხოლო თუ მაიც და მაინც არ დაუშლია და საქართველოს ყოფილი მთავრობის ლანძღვა სურს, ძამ ჩრდ. კავკასიის ყოფილ მთავრობას რაღათ ივიწყებს და რათ იხდობს? იქნებ იმიტომ, რომ ბ. ჰ. ბამატი ბრძანდებოდა ამ უკანასკნელის წევრი? თორემ ნუ თუ ჩრდ. კავკასიის ყოფილ მთავრობას გასაკიცხი არა გაუკეთებია რა და არც აკეთებს?

ჩვენ მეტადრე ბ-ნ ზურაბ ავალიშვილის საქციელი ვეკვირვებს. იგი აქამდე პოლიტიკაში არ გარეულა და ქართველ პოლიტიკურ ძოღვაწეთა სატახჯველ საქმიანობას, ირონიით სავსე მოსერეს ადვილი როლი არჩია. ამაზედ მისთვის არავის არ უსაყვედურია. მაგრამ, დღეს სასაყვედურო ისაა, რომ ჟამსა მოხუცებულებისა, პოლიტიკური კარიერა მითი დაიწყო, რომ საქართველოს ერთ-ოვნულ ტერიტორიებს წაედავა და ისიც უცხოეთის სასაოგებლოდ. ამ თავისი დავის სასარგებლოდ ძრავალ საბუთებს გვიყენებს. მერე რა საბუთებს? სულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს მათი ათასი მუხლებითა!! ბ-ნი ზ. ავალიშვილი თავის ხელშეკრულებებით, დიდი და პატარა ყველა ქართველის, ვ. გუნიას ერთი კომედიის გმირს „ჩინოვნიკ“ აკაკი აკაკიევიჩ აკაკიევს გვაგონებს, რომელს ცხოვრება ოფიციალურ წესდებათა გარეშე ვერ წარმოედგინა და გულის სატრფოსაც კი სულ წესდებების ძალით ეალერსებოდა ხოლმე: „მე თქვენ მიყვარხართ ყოველივეს პუნქტით“! ისტორიასაც და იურიდიულ მეცნიერებასაც თავისი ჩინოვნიკები გააჩნია. ესეთნი გახლავან პრაგმატიკოსები და ფორმალისტები. მათთვის ისტორია ქრონოლოგიაზედ გადარჩევაა და წარსულის პროტოკოლური აღნუსხვა. სამართალს კი წმინდა ფორმალისტური მხრივ განიხილავენ. ბ-ნი ზ. ავალიშვილი მეცნიერთა სწორეთ ამ ჯგუფს ეკუთვნის და ამიტომაც საქართველოს ეროვნულ უფლებათა ანალიზისათვის ძალით წაგლეჯილ ხელშეკრულებათა მეტი ვერა მონახა რა. გასაოცარია იურისტის ასეთი ლატაკი არგუმენტაცია. ყველა იურისტმა უწყის, რომ ძალმომრეობა უფლებრივ დამოკიდებულებას ვერ შეჰქმნის. პირიქით: უფლებრივი დამოკიდებულება საჭიროებს სამართლის სუბიექტთა თავისუფალ ნებისყოფას. ხოლო ბრძანოს ბ-ნმა ავალიშვილმა, რომელი ხელშეკრულებით დაუთმეთ ვინმე ჩვენი ტერიტორია ისე, რომ ყელზედ დანა არ გვებჯინა? ... ან ზურგში ხანჯალი? რაც უფრო დრამატული იყო!

საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ძალით ტერიტორია ხელიდან ხელში გადადის უფრო ხშირად ძალადობის შედეგია ხოლმე. ამიტომ პირველსავე შემთხვევაში მათი მომეტებული ნაწილი იხევა: ძალით შექმნილი, ძალითვე უქმდება ხოლმე. რამდენი ხელშეკრულება დაიხა დღეს, ჩვენ თვალთა წინაშე კულტურულსახი ერების მიერ და სწორედ დარღვეულ ეროვნულ უფლებათა აღსადგენად! ძალით წაგლეჯილი ტერიტორია რა ხელშეკრულებითაც არ უნდა იყოს დადასტურებული ერის უფლებათა დარღვევაა და არა უფლებრივი აქტი.

ყოველი საერთაშორისო ხელშეკრულება დროებითია. ხოლო ერის უფლება იმ ტერიტორიაზედ, რომელიც გეოგრაფიულად, კულტურულად და ისტორიულად შეადგენს მის ორგანიულ ნაწილს, ეროვნულ განვითარების და არსებობის აუცილებელ ფაქტორს, გარდუვალია. შესაძლებელია ერის სუვერენობის ძალით გაუქმება მისი ტერიტორიის ნაწილზედ ან მთელ სივრცეზედ, მაგრამ არა მისი უფლების მოსპობა წართმეულ ტერიტორიაზედ.

თუ ბ-ნი ზ. ავალიშვილი საქართველოს ტერიტორიის საკითხსა უფლებრივ ნიადაგზედ აყენებს, ჩვენი ერის უფლებების წყარო უნდა ეძიოს იმ ფაქტებში, რომელზედ მე უთითებ აქ, და არა რაღაც, ყოველგვარ უფლებრივ ფუძეთ მოკლებულ, ძალით წაგლეჯილ ხელშეკრულებებში. ხოლო თუ ამ საკითხს ოპორტუნისტულად უდგება, ამ შემთხვევაში ამის შესახებ დღეს ლაპარაკი უნაყოფია, უდროო და ვიმეორებ მავნეც. ოპორტუნიზმი დროსა, გარემოებასა და ძალთა განწყობილებასთან უნდა იყოს შეფარდებული და მათზედ დამყარებული. ამ საქმის შესრულება საქართველოს მომავალ მანდატურებს უნდა ვაცალოთ.

ბ-ნი ბამატი თავის რუსულ ჟურნალში (იხ. ქრისტეშობისთვის, 1937 წ. გვ. 5) ბრძანებს: ყარსი, არტაანი და ბათომი საქართველოს საზღვრებში არასოდეს არ შედიოდენო. ე.ი. თურმე ჩვენი კულტურის აკვანი საქართველოს კუთვნილებას არასდროს არ შეადგენდა. ამის შესახებ კომენტარიები ზედმეტია. ეს კი უნდა ვსთქვა: გასაკვირველია, რომ ამის შემდეგ ქართველი პატრიოტები ბამატთან თანამშრომლობენ. იმავე სტატიაში, ბ-ნ ბამატს მეტად მოსწონს და მახვილად მიაჩნია ბ. ზ. ავალიშვილის წინადადება: „შესაძლებელია ძოწინააღმდეგესაც თავისი მოგონებები აღმოაჩნდეს“ო. უნდა გამოვტყდეთ: ჩვენ ამ წინადადებაში ვერავითარ სიმახვილეს ვერა ვხედავთ და თუ იმასაც დაუმატებთ, რომ იგი შინაარსითაც ყოველგვარ სინამდვილესაა მოკლებული, სწორედ სჯობდა ეს საცოდავი წინადადება ბ-ნ ავალიშვილს სულ არ ეხმარა, თუნდაც ეს ბ-ნი ბამატის გულისწყრომის ფასად დაჯდომოდა. ხოლო რათგან დასწერა მოვალეა ნათლად განმარტოს თუ რა უფლებრივი მოგონებები შეიძლება აღმოაჩნდეს ვინმეს საქართველოს ტერიტორიაზედ გარდა შემოსევებისა? და თუ შემოსევა, ხალხის აკლება, მისი გადარჯულება და ეროვნულად გადაგვარება, ჩვენ იურისტ-ისტორიკოსს იურიდიულ უფლებათა საკმარის ფუძედ და გამართლებად მიაჩნია ესეც გულახდილად ბრძანოს და არა ბუნდოვანი ოხუნჯობით.

***

წინ მიდევს ორი სტატია: ფრანგი მწერლის ბ-ნ ა. ტარდიოსი და ქართველი, ბ-ნ გ. გვაზავასი. ორივე მწუხარებით აღნიშნავს ერთა ლიგის გაკოტრებას. პირველი გულწრფელად აღიარებს თავის შეცდომას: ერთა ლიგამ ჩეში იმედი და მისდამი ღრმა რწმენა არ გაამართლა, დიდათ ძევცდიო. მეორე მწერალი კი ქართველი გახლავს, და თანაც ქართველი პოლიტიკოსი ოდ ამ ... ... ძას როგორ აღიარებს? პირიქით: მისი რწმენით, რაც თვითონ ვერ გასჭვრიტა წინასწარ გარკვევლად, გამოიცნო ... ... ლად და წარმოუდგენლად მიაჩნია. ის კი ავიწყდება რომ „თ. გიორგიმ“ ერთა ლიგის ბუნება, თავითგანვე ზედმიწევნითი სისწორით შეაფასა და ისიც არა ერთხელა სთქვა, რომ ერთა ლიგა მყრალს და მურდალს, მაგრამ დიდ რუსეთს ირჩევდა მშვენიერ, მაგრამ პატარა საქართველოზედ. ხოლო რაც ჩვენ ამის შესახებ ვიწინასწარმეტყველეთ, ყოველივე სიტყვა სიტყვით გამართლდა.

მე დიდათ ვაფასებ ბ-ნ გ. გვაზავას ლიტერატურულ შემოქმედებას უცხოეთში. მან მართლაც დიდის სიმხნევით აღადგინა ვახტანგ მეექვსის, ბატონიშვილი ვახუშტის, ბატონიშვილი დავითის, დ. გურამიშვილის და სხვა დიდ ქართველ ემიგრანტთა ისტორიული ტრადიცია. მაგრამ რაც შეეხება მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, საბოლოოდ, იგი მხოლოდ შეცდომებით ხასიათდება. რითი აიხსნება ეს მოვლენა? მითი, რომ ბ-ნმა გვაზავამ და ბევრმა სხვებმა საკუთარი ხელით გამოიმწყვდიეს თავი მენშევიკების, მეორე ინტერნაციონალის და ერთა ლიგის ორბიტაში. ე.ი. ორბიტაში დემაგოგიისა, ფარისევლობისა, სიფლიდისა და სიყალბისა. იმუშავეს და მუშაობენ იმ ხალხთან და იმ ფაქტორებთან, რომელნიც თავისი ბუნებით და იდეოლოგიით საქართველოს მტერნი არიან.

ცხოვრების სასტიკ პირობებს, რომ ბ-ნი გვაზავას სუსტი ხასიათი არ დაეძლიათ და ამ მოწამლულ რკალში არ გამოემწყვდიათ, დარწმუნებული ვართ, იგი დიდ სამსახურს გაუწევდა ქართულ საქმეს, რათგან ამისათვის მას საკმარისი ჭკუაც, ცოდნაც და შრომის უნარიც შეესწევს. მსურს შევეკითხო ბ-ნ გვაზავას: საკმარისად მიაჩნია 15 წლის განმავლობაში მენშევიკების კუდში ჩანჩალი და უკულმართად სიარული თუ კიდევ ერთხელ აპირებს ჟორდანიას ანკესზედ წამოგებას? ანკესზედ ახალი კომბინაციებისა?

ბ-ნი გვაზავა „საერთო ფრონტისაკენ“ ეხლა მხოლოდ დაგვიანებით, ფაშისტებსაც მოგვიხმობს. ჩვენც საჭიროდ მიგვაჩნია ყველა ქართველ პატრიოტების და ცნობილ მოღვაწეთა კავშირი. მეტადრე დღეს, როდესაც ვდგევართ წინაშე დიდ მოვლენათა. მაგრამ „თ. გიორგი“ იმ გვარ ფრონტში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც მენშევიკების მიერ მოწყობილი კომბინაცია კი არ იქნება, არამედ ქართველთა გულწრფელი შეკავშირება ერთ საერთო იდეალში: ბრძოლა საქართველოს და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენი პოზიცია საერთო ფრონტისადმი დიდი ხანია საჯაროდ განვაცხადეთ და ბატონ გვაზავას დღესაც იმავე პასუხს ვაძლევთ. ხოლო იმ დამატებით, რომ არსებული ეგრეთ წოდებული „საერთო ფრონტი“ კი არ უნდა გაფართოვდეს, როგორც ეს ბ-ნ გვაზავასა სურს, არამედ მოისპოს, გაუქმდეს და მის მაგიერ შეიქმნეს ახალი, ნამდვილი ქართული ფრონტი დამყარებული ახალ ნიადაგზედ და ახალ აგებულებით.

ლეო კერესელიძე

ქართული ფრონტი

ჩვენი ემიგრაციის ყველა წრეებში გაისმის დღეს მოწოდება ეროვნულ ძალთა გაერთიანებისათვის. შინაურ უთანხმოების მივიწყებას და პატრიოტთა დარაზმვას მოითხოვენ ყველანი; დაწყებული მენშევიკებით და გათავებული ეგრედ წოდებული კავკასიური წრით.

ამ უკანასკნელის გამოსვლით ისედაც დაშლილ ემიგრაციას კიდევ ახალი ჯგუფი მიემატა, რომელმაც თავისი პოზიციით და შეუსაბამო სამოქმედო მეთოდებით თითქმის მთელი ქართველობა აიმხედრა. გამართულმა ბრძოლამ ყოველგვარ საზღვრებს და ნორმებს გადააცილა. არ ინდობენ არაფერს, არ ზოგავენ თვით ეროვნულ გრძნობას და თავმოყვარეობას, რაც სამწუხაროდ, სრულიად არ ემსახურება არც ქართველთა მთლიანობას და არც კავკასიაში მოსახლე ერთა თანამშრომლობის იდეას.

ყველამ ვიცით, თუ რა აღშფოთება და პროტესტები გამოიწვია „კავკაზის“ მიერ საქართველოს საზღვრების შესახებ აღებულმა პოზიციამ. ტერიტორიალური მთლიანობის დასაცავად გამოვიდნენ ყველანი, განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა და პარტიული მიმართულებისა. სოციალისტების პროტესტი ნაციონალისტთა გულის წყრომას შეუერთდა; მაგრამ სამწუხაროდ, ეს სრულიად ბუნებრივი გამომჟღავნება ეროვნული გრძნობისა, სოციალ დემოკრატებმა და კავკასიურმა წრემ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს, და მას სავსებით ყალბი განმარტება მისცეს: სოციალისტებისა და ნაციონალისტების „კავკაზის“ წინააღმდეგ ერთად გამოსვლით ისარგებლა ბ-ნმა ჟორდანიამ უცხოელთა თვალში თავის მეტად შერყეულ მდგომარეობის გამოსასწორებლად და დაცემულ პრესტიჟის აღსადგენათ. მისი მტკიცებით, მომავალშიც, გასაჭირის დროს ყველა ეროვნული ძალები მასთან იქნებიან და მისი ხელმძღვანელობით იმოქმედებენ.

ბ-ნ ბამატს რომ დაუჯეროთ, ყველა ისინი, ვინც მის პოლიტიკას არ იზიარებენ, ბ-ნ ჟორდანიას ფრონტში არიან, ან მას თანაუგრძნობენ. ცხადია, აქაც ანგარიში სწორია, რადგან ბ. ჟორდანია მარქსისტია და მასთან ბრძოლა იდეოლოგიურ ნიადაგზე ადვილია. ბ. ბამატი არწყეზებს სადაც ჯერ აოს, რომ მას ებრძვიან, როგორც ძარქსიზმისა და მეორე ინტერნაციონალის მოწიხააღმდეგეს, ხოლო ყველა ჭეშმარიტი ქართველი ანტიმარქსისტები და ნაციონალისტები მასთან თანამშრომლობენ.

ამნაირად, ორთავენი სცდილობენ ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნან, თითქოს ემიგრაცია დაყოფილია ჟორდანიას და ბამატის მომხრე ბანაკებად. მაგრამ, როგორც ვიცით, ასეთი დანაწილება ყალბია და ის სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს.

კავკასიური წრისა და მენშევიკური ფრონტის გარეშე არსებობენ ყველა ის ეროვნული ძალები, რომელნიც მუდამ გმობდენ მარქსისტების მავნე პოლიტიკას,, დაუნდობლად ებრძოდენ ბ-ნ ჟორდანიას უხეირო საქმიანობას, არასდროს მასთან არავითარ კომბინაციაში არ შესულან, და არც დღეს შეუცვლიათ უარყოფითი შეხედულება როგორც ჟორდანიაზე, ისე მის ფრონტზედ. მაგრამ ამავე დროს ეს ნაციონალისტები არც ბამატის წრეს თანაუგრძნობენ, რადგან ამ წრის მიერ აღებული გზა ქართული საქმისათვის სასარგებლოდ არ მიაჩნიათ.

ბ. ბამატის ჯგუფის პოზიციის არსებითად განხილვა არ შეადგენს ამ წერილის საგანს; შეგნებულადაც არ გვინდა მათ მიერ ჩადენილ ყველა შეცდომათა ჩამოთვლა, რათა არ გავართულოთ ისედაც გამწვავებული დამოკიდებულება ქართველი ემიგრაციისა კავკასიურ ჯგუფთან, სადაც ჩვენ გვეგულება ისეთი წარჩინებული მამულიშვილნი, რომელთა ჩამოშორება ქართულ საქმეს სარგებლობას არ მოუტანდა. ჩვენ იმდენად ცოტანი ვართ, რომ უკიდურესი აუცილებლობის გარეშე არა გვაქვს უფლება ეროვნულ ძალთა გაფლანგვისა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ჟურნალ „კავკაზი“ს მიერ აღძრულ საზღვრების საკითხის შესახებ განვაცხადოთ შემდეგი:

საქართველოს არ ეუძლია იცნოს არც ერთი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია საოკუპაციო ხელისუფლების მიერ.

ყარსის ხელშეკრულების ძალით საქართველოს დაუკითხავად მოსკოვის მიერ გაცემული მიწა-წყალი შეადგენს საქართველოს ორგანიულ ნაწილს.

ოსმალეთთან მეგობრობა უსათუოდ გვინდა, მაგ-

რამ არ შეგვიძლია მისი მიღება ეროვნული სხეულის დასახჩრების ფასად.

საზღვრების საკითხის წამოყენება დღეს დიდი შეცდომაა და ნაადრევია. როდესაც ჩვენი ერი განთავისუფლდება, ის თვითონ გამონახავს საერთო ენას ნაციონალურ ოსმალეთთან და შეეცდება დაამყაროს მასთან მეგობრული დამოკიდებულება.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, კავკასიური წრისა და ჟორდანიას ფრონტის გარეშე არსებობენ ეროვნული წრეები, რომელნიც წარმოადგენენ ნადვილ, საღ, ნაციონალისტურ ძალას. სამწუხარო და სავალალო მხოლოდ ის არის, რომ ეს ნაციონალისტები დღემდე ვერ შეთანხმდენ, ვერ შეკავშირდენ ერთი ხელმძღვანელობის შესაქმნელად.

შეთანხმება ბ. ჟორდანიასაც სურს. მისი ფრონტის პრესა ერთხმად მოითხოვს პატრიოტულ ძალთა ჟორდანიას გარშემო დარაზმვას. მთლიანობას ქადაგებს ჟურ. „კავკასიაც“, რომლის აზრით გაერთიანება უნდა მოხდეს კავკასიური წრის ირგვლივ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხის სიძნელე სწორედ იმაშია, რომ ეროვნულ ძალთა გაერთიანება არ შეიძლება არც ჟორდანიას, არც ბამატის კავკასიური ჯგუფის გარშემო.

კავკასიური წრის პრეტენზიებზე ეროვნული მთლიანობის შესახებ ჩვენ არ შევჩერდებით, რადგან მისი მიმართულება არ არის წმინდა ქართული ხასიათისა, გარდა ამისა ამ წრემ თავისი პოლიტიკით, შეცდომებით და უტაქტობით მთელი ემიგრაცია ააჯანყა, ამიტომ კავკასიური ჯგუფის გარშემო მთლიანობის დამყარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

რაც შეეხება ჟორდანიას ირგვლივ დარაზმვას, ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი ამ საკითხზე „თ. გ.“ ფურცლებზე, რომელიც დღესაც უცვლელად რჩება.

ბ-ნი ჟორდანია მარქსისტია, ხოლო მარქსიზმმა ერთხელ უკვე გადაჩეხა ჩვენი ქვეყანა უფსკრულში, დღესაც მარქსიზმის დროშით რუსეთი ფლობს და ანიავებს მას. ჟორდანიას პარტია შედის მეორე ინტერნაციონალში; მეორე ინტერნაციონალი კი საქართველოს მტრის რუსეთის მოკავშირეა. ამნაირად, ჟორდანია, უნდა თუ არ უნდა, მტრის ბანაკშია მოქცეული.

ამ უკანასკნელ ხანებში ჟორდანიას ოინებმა ზოგიერთი გულუბრყვილო შეცდომაში შეიყვანა. ხმები გავრცელდა, ჟორდანიამ პარტია დასტოვა და ფერი იცვალა; ჩვენ ეს არასდროს არ დაგვჯერებია, ხოლო ვინც ჟორდანიას ახალ ანკეტზე წამოეგო, ან აპირებს წამოგებას, ურჩევთ წაიკითხოს „ბრძოლის ხმის“ ივნისის ნომერი, სადაც გარკვეულად სწერია: „ნ. ჟორდანიას არასდეს მოსვლია აზრათ პარტიიდან „გადადგომა“. ასეთი სიცრუის შეთხზა შეეძლო მხოლოდ „კავკასიის“ სულის ჩამდგმელთა გაბოროტებულ ფანტაზიას“ო.

პარტიის ბიუროდან გადადგომით და მსგავსი წვრილფეხა ოხუნჯობით არავინ არ მოსტყუვდება. ჟორდანია იყო და დარჩა მარქსისტად და პარტიის კაცად. „არა ვსდევ ჟამთა ცვლას, იგივე ვარ მარად და მარად.“

მაგრამ სასწაულიც რომ მოხდეს, ჟორდანიამ მართლა ფერი რომ იცვალოს და მარქსიზმი უარყოს, ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელად იგი მაინც არ გამოდგება.

ის ადამიანი, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე მარქსიზმის დროშის ქვეშ გაატარა და რომლის მთელი არსება მარქსისტულ, ანტიეროვნულ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი, ვერასოდეს ვერ ჩასწვდება ეროვნულ ინტერესთა სიღრმეში, ვერ გაიგებს ერის ნამდვილ სულისკვეთებას და ვერ მისცემს მას სწორ მიმართულებას. სიბერის დროს ის ვერ შესძლებს გადახალისდეს, გაინთავისუფლოს თავი დაძველებულ, გაკოტრებულ აზრინებისაგან, და ჩაისახოს წმიდა ქართული სული. საჭირო მომენტში ის ვერ აენთება პატრიოტული ენტუზიაზმით, მას არ აღმოაჩნდება ის ღრმა ერონული ინტუიცია, რომელიც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს მეთაურს და ეროვნულ მოღვაწეს.

ქართული საქმის ხელმძღვანელად უნდა გამოვიდენ ის ეროვნული ძალები, რომელთაც მუდამ ქართული გზით უვლიათ და ქართულად უაზროვნიათ, რომელთა იდეალს ყოველთვის სამშობლო და მისთვის სამსახური წარმოადგენდა.

ქართულ საკითხს უნდა მოუარონ იმ ნაციონალისტებმა, ვინც მუდამ ერის ერთგულნი იყვნენ და მისი ნდობა და სიყვარული აქვთ დამსახურებული.

ეს ნაციონალისტები, დღეს დაქსაქსულნი და დაყოფილნი, უნდა შეკავშირდნენ, უნდა შეთანხმდნენ, რომ შესძლონ გაერთიანებული ძალებით განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინამძღოლობა. განცალკევებულად, დაფანტულად ყოფნით ვერაფერს მივაღწიეთ. მართალია, არსებობს სიძნელე მთლიანობის იდეის განსახორციელებლად, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთ დიდ დაბრკოლებას, რომლის გადალახვა შეუძლებელი იყოს, თუ გულწრფელად მოვინდომეთ, ერთობის აუცილებლობა შევიგნეთ და მცირეოდენი მსხვერპლი გავიღეთ.

მომენტი მეტად საპასუხისმგებლოა, დაყოვნება დიდ ხიფათს გვიქადის. საერთაშორისო ძალთა ჭიდილის ასპარეზზე საქართველოს საკითხიც გამოტანილია. მონობაში მყოფ ქართველ ერს ხმის ამოღების საშუალება არა აქვს; მას დამცველი და პატრონი სჭირდება. საქართველოს ვექილებად არ გამოდგებიან არც ბამატი, არც ჟორდანია. ქართული საქმე უნდა დაიცვან ქართველმა მამულიშვილებმა.

კ. სალია

ი ლ ი ა ს

თაყვანისცემით გეამბორები დიდო ილია,
ქართველ ხალხთ შორის შენი ღვაწლი არ დაიღია
შენი საყდარი დაურღვეველ ბროლით თლილია
შენი ჰანგი ცაში აწვდა, შორი გზა ლია.

შენ დღესასწაულს ბევრი შეხვდა დიდის ოდებით,
მე შენ საფლავთან მინდა მოსვლა ჩუმის გოდებით,
ეს საქართველო აწ გაივსო ცივი ლოდებით,
მაგრამ მომავალს შენ მითითებულს ჩვენ
ველოდებით.

მე ამ დღეობამ კვლავ გამიხსნა ძველი იარა,
სულმა წამებულ საფლავთ შორის ჩამოიარა,
ვინც „დიმიტრივით თავი დასდო“ მტერს უთხრა
არა,
და სამუდამო უკვდავების გზაზე იარა.

ქრისტე ჯვარს აცვეს, პლატონის სოკრატს შხამი
ეწერა,
შენც მათთან წადი, ბოროტი ტყვიის გაგხადეს
წერა,
გულო შეძრწუნდი! დიდი ცოდვა ჩვენ დაგვეწერა

აკაკის უთქვამს: არს საქართველოს ეს ბედისწერა!

შემოქმედებით ვინ გაგისწოროს, ვინ ქმნას მისთანა?
მაგრამ მოგდევენ ივერიის მსახურნი თანა!
ბევრ შენ ერთგულ შვილს ვერაგულად დაარტყეს
დანა
მორჩილთ საზრდელად დასჭირდებათ კვლავ შენი
„ნანა“.

„მამა დავითი“ არ დარჩება მუდამ ჟამს ჩრდილში!
სიტყვა და აზრი გადიშალა შენსა „აჩრდილში“
ნებისყოფა და სიყვარული „ოთარაანთ ქვრივში“
და შენი ცდით მტკიცეა ერი არ გვმართებს ვიში.

„კაკო ყაჩაღი“ გაჭრილია სიმართლით ტყეში,
„იანიჩარი“ც დაბრუნდება სამშობლო ხევში,
კეთილდღეობა გამაგრდება მათ ძლიერ ხელში,
ქვეწარმავალი შებრუნდება თვის ბინძურ
ხვრელში.

კმარა წამება!

შენს დიად საქმეს მთელი თაობა დაეუფლება
ფრთებს ფართედ გაშლის და მას ექნება ამის
უფლება
საყვირით გამცნობს: კვლავ ასრულდა ეს შენი
ნება,
„აყვავდა მდელო“ და გვეღირსა თავისუფლება!

ი. ოთხმეზური

ფაშიზმი და მონარქიზმი იტალიაში

ყველაფერი რაც ეროვნულია და პატრიოტული, აღორძინებისა და მთლიანობის იდეით შეერთებული, ფაშიზმის მოძღვრებას შეიცავს. მონარქიზმი და ტრადიციონალიზმი, იტალიის ეროვნული რევოლუციის სულისათვის წინააღმდეგობას არ წარმოადგენს, არამედ მის ორგანიულ და განუყოფელ ნაწილს, რომელსაც ფაშიზმი ამრთელებს და ჰკონავს ერთ რწმენითა და იდეალით.

პრივილეგიური კლასი თუ წოდება ფაშისტურ ქვეყანაში არ არსებობს. ახალმა რეჟიმმა შრომის მეფობა შეჰქმნა და საზოგადოებრივ მოვალეობად აქცია შრომა — ყოველ კლასთა თუ წოდებისათვის.

მუშა თუ კაპიტალისტი, მღვდელი თუ ჯარის-კაცი, თავადი თუ გლეხი, ყველა ერის შვილია და მოვალენი არიან სამშობლოს ემსახურონ და საჭირო დროს თავი დასდონ ძვირფას ქვეყნისათვის.

იტალიის სულიერი მთლიანობის შექმნა და შეთანხმება მონარქიისა და ფაშისტური მმართველობისა, აშკარად ჰმოწმობს ერის გენიალურ თვისებათა გამომჟღავნებას, რომელიც კულტურული მისიის წინამორბედია.

ფაშიზმი და მეფის დინასტია სცხოვრობენ იტალიაში სრული ერთსულოვნობით. მეფის გვირგვინი ერის სიმბოლოა, მთლიანობის გამომხატველი. ყოველგვარი სახელმწიფოებრივი საქმე მეფის თანადასწრებით და თანხმობით კეთდება. ხალხის მორალური მთლიანობა იტალიის მეფის სახელს და დიდებას უერთდება.

ქვეყანას უკვირს, რომ მონარქია და ეროვნული რევოლუცია — ფაშიზმი, ურთი-ერთს შეუთვისდა და ერთად არსებობენ. მუსოლინი დასაწყისში რესპუბლიკანელი იყო, მაგრამ როგორც კი დაინახა, რომ მონარქიის მოსპობა ერს ზიანს მიაყენებდა, ხელუხლებლად დასტოვა იგი. იტალიაში მუშა ისევე სარგებლობს სახელმწიფოს უფლებით, როგორც თვით მეფე. არავითარი პრივილეგია არ არსებობს ფაშიზმის ქვეყანაში, ე.ი. ეროვნულ სახელმწიფოში. კანონის წინაშე ყველა თანასწორია და თანაბრად პასუხისმგებელი. ფაშიზმი შრომის ქვეყანაა და საპასუხისმგებლო შრომას, ინდივიდუალურ ნიჭს თავისუფალი ასპარეზი აქვს შექმნილი და ხელ-წეწყობილია ახალი რეჟიმის მიერ. ყოველ დარგში შეჯიბრი სწარმოებს ნიჭთა, გონებრივ ძალ-ღონისა და უნარიანობის შორის. მუსოლინს არ მოსწონს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მდორე ტბას. ემსგავსება და მოსაწყენი ჭოჭინით ბორიალობს ერთ ადგილს. ყველგან ანახლებს და აცოცხლებს სახელმწიფო ორგანიზმს. ვინც მეტ ძალასა და ნიჭს გამოიჩენს — დაწინაურება მას ერგება.

ფაშიზმა მისცა იტალიის ხალხს არა მხოლოდ ახალი ძალა, ახალი რწმენა და ახალი ცხოველმყოფელობა, მან შეჰქმნა ბრძნული დაახლოვება არა მარტო დინასტიასა და ხალხს შორის, არამედ აგრეთვე დინასტიასა და სახელმწიფოს შორის. ფაშიზმის მიერ სამეფო ტახტი მტკიცედ არის დაცული და გამაგრებული და არც აროდეს ისმის ფაშისტურ პარტიაში საკითხი მისი გაუქმებისა.

ფაშიზმი და პარტიები

რაც უფრო მარტივია ესა თუ ის იდეა, მით უფრო ხშირად გიხდებათ მისი დაცვა მათ წინააღმდეგ, ვინც მას განსაზღვრულ მიზნისათვის ართულებენ და აბნელებენ.

ფაშისტურ იდეოლოგიის მიმდევართა, და მაშასადამე თეთრი გიორგის ერთი უმთავრესი მოთხოვნილებაა პარტიების მოსპობა, რადგან ეროვნულ სხეულისათვის მათი არსებობა მავნეა.

ამ დებულების წინააღმდეგ პარტიებმა შეიმუშავეს ერთი ფორმულა, რომელსაც უპარტიოებიც ხშირად იმეორებენ: — თქვენც პარტია ხართ, თქვენც უნდა დაიშალოთო. — იდეალისტები უმატებენ: — დაშალეთ პარტიები, ყველანი შეერთდით და ჩვენც თქვენთან ვიქნებითო...

საკითხის ასეთი დაყენება გულუბრყვილობაა და მიზეზი ეროვნული ძალების დაქსაქსვისა.

პოლიტიკა სასტიკი ბრძოლაა და ყოველი ორგანიზმი, მაშასადამე პოლიტიკური ჯგუფიც, სცდილობს თავი შეინახოს და მოწინააღმდეგე დაამარცხოს. იშვიათად მომხდარა, რომ რომელიმე ორგანიზაციას თავისი თავი დაეშალოს. იდეა აკავშირებს ადაიანებს. იდეა ამ კავშირს ისე აძლიერებს, რომ ხშირად კავშირი აგრძელებს თავის თავის არსებობას მიუხედავად იმისა, რომ იდეა დიდი ხანია რაც მოკვდა. ამისი მაგალითი ჩვენი სოციალისტ ფედერალისტები არიან. მათ სოციალიზმი არა სწამთ და ვერ წარმოგვიდგენია დღეს ისინი რუსეთთან ფედერაციას მოითხოვდნენ.

მხოლოდ უსაზღვრო გულუბრყვილობას შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ ბრძოლას, რომელიც უსულო გვამნიც კი მონაწილეობას იღებენ, ლამაზი და ყველასათვის მისაღებ სიტყვებით შეაჩერებს.

და თვით გაერთიანება როგორ აქვთ ამ კეთილს მსურველთ წარმოდგენილი?

როგორ შეიძლება ხალხი გაერთდეს თუ არა რომელიმე იდეის, რომელიმე ჯგუფის გარშემო? და ამ ჯგუფს დასჭირდება ხომ სახელმძღვანელო ორგანო, აღმასრულებელი დაწესებულება, ლოზუნგები, პრესა, პროპაგანდა რომ უარმყოფელ ძალების შემოტევას გაუძლოს?

ფაშიზმმა კაცობრიობას სახე უცვალა. მისი მოწინააღმდეგებიც კი იძულებულნი არიან მისივე მეთოდები მიიღონ. იგი პარტიებს და პარტიულად დაყოფას უარყოფს. იგია ერთად ერთი ძალა, რომელსაც ძალუძს თავისი პრინციპებით და მეთოდებით ერი გააჯანსაღოს, ეროვნული ძალები გაერთიანოს და ეროვნულ მიზნებისათვის საბრძოლველად დარაზმოს. როდესაც თქვენ მას მოსთხოვთ რომ პირველი მაგალითი გაჩვენოთ და თვითონ პირველმა დაშალოს თავისი ორგანიზაცია, თქვენ სოფისტობთ.

მაგონდება მამა ჩემის ერთი მოთხრობა დასტამბული „ქართული გაზეთში“. ჩინეთის ახალგაზრდა და გულკეთილმა იმპერატორმა ერთხელ თვალი მოჰკრა რომ საშინელ წვიმის დროს, მის ღარიბ ქვეშევრდომებს ქუდი არა ჰქონდათ და საშინლად გაწუწულნი, თავზარდაცემულნი აქეთ იქით გარბოდნენ თავშესაფარის საპოვნელად. საშინლად გაწყრა იმპერატორი და თავის ვეზირებს უბრძანა, რომ ყოველი ზომები მიიღონ და ისე მოაწყონ, რომ უქუდო ჩინელი მთელს იმპერიაში აღარ მოიპოვებოდეს. ერთი კვირის შემდეგ კეთილ იმპერატორს მოახსენეს, რომ მისი სურვილი აღსრულებულია და უქუდო ჩინელი აღარ მოიპოვება. თურმე ყველა იმ ჩინელს, რომელსაც ქუდი არა ჰქონდა, თავი წააჭრეს.

პოლიტიკანთა ბრძოლამ სიტყვები და იდეები ისე არევ დარია და შინაარსი გადუსხვაფერა, რომ ხშირად ძნელია გამოარკვიოთ თუ რა რა არის, და რას რა ადგილი უნდა ეჭიროს. ლოზუნგების პარადოქსალური ხმარება იქამდის მივიდა, რომ ბ-ნ ჟორდანიას პარტიას შეუძლიან ნაციონალისტები ერის მოღალატედ გამოაცხადოს, ნაციონალისტური იდეოლოგია ანტი-ეროვნულ ინტერნაციონალად და საკუთარი ინტერნაციონალური მარქსისტობა ნამდვილ პატრიოტიზმად და ერის მსახურად მოგვევლინოს.

როდესაც ფაშიზმი ლაპარაკობს პარტიებზე, რომელთა გაუქმებას მოითხოვს, ის ჰგულისხმობს ამ სიტყვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თორემ ყოველი სიტყვის შინაარსის ისეთი გაფართოვება შეიძლება, რომ ადამიანები ერთმანეთის ვეღარას გაიგებენ. პეტრე შეჰქმნის უპარტიოთა პარტიას, პავლე ბელოტისტებისა, და სხვა სხვანაირს. ვაიმარის გერმანიაში ბინის მქირავებელთა პარტიაც კი არსებობდა.

ფაშისტები (და მათთან ბევრი სხვებიც, რომელნიც ჯერ ამას საჯაროდ ვერ აღიარებენ) დარწმუნებულნი არიან, რომ ლიბერალ-დემოკრატიის იდეოლოგთა აზრი, ვითომ პარტიათა შეხლა შემოხლა სახელმწიფოში ძალთა წონა-სწორობას ჰქმნიდეს, ღრმად შემცდარია. ეს შეხლა-შემოხლა ერის ცოცხალი ძალების ენერგიას უარყოფითად ქმნის და სახელმწიფოსათვის მავნე მიზნებისაკენ მიჰმართავს. ასე წოდებული პარლამენტარიზმი მავნეა, რათგან იძულებულია, (ასეთია მისი ბუნება) სა გარეო პოლიტიკა პარტიათა დემაგოგიურ მოთხოვნილებებს დაუქვემდებაროს.

მხოლოდ ერთს შემთხვევაში შეუძლიან კიდევ პარლამენტს პოზიტიურ შედეგებს მიაღწიოს. ეს მაშინ, როდესაც (როგორც ეს აქამდის ინგლისში იყო) მეტოქე პარტიები მხოლოდ პოლიტიკის ტაქტიკაზე დავობენ და მიზანი კი ერთი და იგივე აქვთ. მაგრამ აქაც აღმოჩნდა, რომ ხშირად მოვლენების წინაშე რეაქცია ნელი იყო. ხოლო ინგლისი ისეთი ძლიერი ორგანიზმია, რომ მისთვის ერთს დაკარგულ შემთხვევას მნიშვნელობა არა აქვს: — დრო მისი მოკავშირეა.

ასეთი არეული მდგომარეობა, როგორიც დღეს არის, ისტორიას იშვიათად თუ აღუნიშნია თავის ფურცლებზედ. ყოველ გადამდგარ ნაბიჯს აუარებელი და უფრო ხშირად სრულიად მოულოდნელი შედეგები მოსდევენ. საჭიროა ერი მუდამ მზად იყვეს. თუ ერს, და განსაკუთრებით პატარას, თავისუფალი არსებობა სურს, მთელი მისი ფიზიკური და სულიერი ძალები დარაზმული უნდა იყვნენ და ხელმძღვანელ ორგანოს უნდა შეეძლოს ყოველ წამს საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადასდგას.

თანამედროვე სახელმწიფო ბრძოლის ველზედ გასულ ჯარს ჰგავს. სარდალი დარწმუნებული უნდა იყვეს რომ ყოველი მისი ბრძანება დაუყონებლივ შესრულდება და მას არ დასჭირდება ყოველ მიღებულ ზომის შესახებ ჯერ გაუთავებელი თათბირი მოაწყოს და მცოდნე თუ არ მცოდნე ალაყბოს.

როგორც ჯარს ერთი შტაბი, ისე სახელმწიფოს სჭირდება ერთი ორგანო, რომელშიც თავმოყრილი იქნებიან ერის ყველა პოლიტიკური ძალები და რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი ექნებათ: — ერის არსებობა და მისი კეთილდღეობა.

ცხოვრება შეიცვალა. სინამდვილემ ახალი მოვლენები წამოაყენა. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ფაშისტებს ახალს მიუხედნენ და დიდ დადებით შედეგებს მიაღწიეს.

ამიტომ ჩვენს მოთხოვნაში, პარტიები დაიშალონ და მხოლოდ ერთი პარტია ჩაუდგეს ერს სათავეში, ულოზიკობა კი არ არის, არამედ ეს ერის ბედნიერებისათვის აუცილებელია. საჭიროა ჩვენი ერის ცოცხალი და მომქმედი ძალები ამას მიხვდნენ და ჩვენთან ერთად დარაზმდნენ.

ამ ქვეყნად იდეას მხოლოდ სხეულის საშუალებით შეუძლიან იარსებოს და იმოქმედოს. მან თუ მქადაგებელი, მიმდევარი, განმახორციელებელი და მებრძოლი ვერა ჰპოვა, დაემსგავსება იმ თესლს, რომელიც დამწვარ ქვიშაში მოხვდა. თვით მარქსაც-კი, იმ მარქსს, რომლის დიალექტიკის მიხედვით კომუნიზმი აუცილებელი დაგვირგვინება იყო ისტორიის განვითარებისა, მასაც დასჭირდა ორგანიზაცია შეექმნა, რათა ეს პროცესი აეჩქარებინა. სწორედ ამ მოვლენამ დაამტკიცა, რომ ისტორია არავითარ დიალექტიკას არ ემორჩილება. პირიქით, პიროვნების ნების ყოფა და ადამიანთა მიერ შექმნილი ძალები ამოძრავებენ ისტორიას და მას თავიანთ ბეჭედს ასვამენ. ვერავითარი დიალექტიკით ვერ ახსნით იმას, რაც დღეს რუსეთში ხდება. სასტიკ დისციპლინაზე აშენებულმა კომუნისტურმა პარტიამ ხელთ იგდო ეს ვეებერთელა ქვეყანა და გახადა საგნად უსაშინელესი ექსპერიმენტებისა.

ანარქიული ძალების დათურგვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ერის დადებითი ძალები თავმოყრილნი არიან ერთს ძლიერს დარაზმულობაში. ბრძოლის კანონები მუდამ იგივე ყოფილა: მტერი უნდა დაამარცხო.

ამიტომ შედარება ფაშიზმისა და ბოლშევიზმისა, მხოლოდ იმ საბუთით, რომ ზოგიერთი მათი მეთოდები ერთმანეთსა ჰგვანან, სისულელეა. ამერიკელი განგსტერები და პოლიციელები ერთმანეთს ერთნაირი იარაღით ებრძვიან. მაგრამ ერთი ყაჩაღია და კაცის მკვლელი; მეორე კი წესსა და მშვიდობიანობას იცავს.

იტალიაში და გერმანიაში ფაშიზმმა კომუნიზმი ძირიან ფესვიანად აღმოფხრა და ამით ევროპა სრულ განადგურებიდან იხსნა. დღეს ის ისპანიას აჯანსაღებს და ლამობს სიკვდილს პირიდან წაჰგლეჯოს.

ამ დიად საქმისათვის ლამაზი სიტყვები არა კმარა: „ყველანი ძმები ვართ, შევერთდეთ, რა გვაქვს გასაყოფი“? არა, კრიმინალთა ბრბოს — კომუნისტურ პარტიას, თუ მისი მოსპობა გვინდა, ერთ დარაზმულობად შეკონილი ერის ცოცხალი ძალები უნდა დაუპირდაპიროთ.

ერი, რომლის შვილები დროზე ამას ვერ შეიგნებენ, დაღუპული ერია.

ამ მხრივ ჩვენი ემიგრანტები იმ ფრანგებს მაგონებენ, რომელთაც დუჰამელი უსაყვედურებს, რომ მათ პოლიტიკა რაღაც აბსტრაქტულ საგნად მიაჩნიათ, რომელსაც ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მისდევენ იმავე ლოზუნგებს, რომლებსაც ზოგიერთი არტისტები მისდევენ ხელოვნებაში:

L'art pour l'art—la politique pour la politique.

უბრალო ქართული საქმეა გადასაწყვეტი. შეიკრიბებიან ჩვენი პარტიები, მორეკავენ თავიანთ მომხრეებს, იშფოთებენ, იყვირებენ, ლანძღავენ ერთი მეორეს და კენჭს უყრიან. ვინც მეტ ხმას მიიღებს, თავი გამარჯვებული ჰგონია და საკითხიც გადაწყვეტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჟან გიორგაძე

თამარ მეფის დღე. 1938 წ.
თეჰერანი.

ამა თუ იმ პარტიის კაცი ჩავა ამა თუ იმ სატახტო ქალაქში და უცქირეთ მის ტრაბახს: მე ამა და ამ დიდ კაცს ველაპარაკე, საქართველოს მე ვანთავისუფლებო.

არსებობს კიდევ უფრო უცნაური ჯურის ხალხი: მემარჯვენეები. ელაპარაკები, ეტყვი შენს აზრს. ყველაფერში გეთანხმება: „მართალი ხარ, ყველა შენი იდეები და აზრები მშვენიერია, რასაკვირველია, საჭიროა ერთს ორგანიზაციაში მოვიყაროთ თავი. ამიტომ მე ახალ პარტიას შევქმნი“ო....

მათე კერესელიძე

ტფილისის უნივერსიტეტის ოცი წლის თავი

25 მაისს დაიწყო ზეიმი ტფილისის უნივერსიტეტის 20 წლის თავის აღსანიშნავად, რომელშიდაც მონაწილეობას იღებს, ქართველ პროფესორ - სტუდენტობასთან ერთად, მთელი ქართული მოწინავე განათლებული საზოგადოება.

თუმცა ოცი წელი, როგორც იქ აღინიშნა, არ არის ისეთი რიცხვი, რომ აკადემიის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ დატას წარმოადგენდეს, მაგრამ ვინც გაითვალისწინებს, თუ რა დაბრკოლებები გაიარა ჩვენმა უნივერსიტეტმა ამ ოცი წლის განმავლობაში, რამდენჯერ მისი არსებობა ბეწვზე ეკიდა, მიხვდება, რომ ამ მოვლენას ჩვენთვის უდიდესი მნიშნელობა აქვს.

ჩვენი უძველესი აკადემიების განადგურების შემდეგ, აზრი მათი აღდგენისა ქართველ ხალხში არასოდეს არ გამქრალა და უკანასკნელად ეს იყო ილია ჭავჭავაძის თაობა, რომელიც ეძებდა მისი განხორციელების შესაძლებლობათ. გასწია წინამორბედი მუშაობა და ჩაუყარა საძირკველი მისი ზნეობრივი და ქონებრივ არსებობას, მიუხედავად იმ ხელისშემშლელი მიზეზებისა, რომლებიც ასეთ დიად საქმეს ჩვენ გარემოებაში უსათუოდ წინ უნდა დადგომოდენ.

მას შემდეგ გახშირდენ ქართველი მეცნიერები და სწავლულნი, განმტკიცდა ხალხში აზრი, და 1918 წელს 26 იანვარს მოხერხდა ქართული უნივერსიტეტის გახსნა ტფილისში. დღეს, დამსახურებული მეცნიერი ივ. ჯავახიშვილის თანდასწრებით, ზეიმობს იგი 20 წლის არსებობის თავს....

ამბობენ, რომ საქართველოში ისეთი პირობები ყოფილა, „ერთი უნივერსიტეტი აღარ კმარა, საჭიროა კიდევ მეორე, ქუთაისშიო“!?

ამ მნიშვენელოვანმა მოვლენამ არ შეიძლება ქართველი აღფრთოვანებაში არ მოიყვანოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორმა კერამ კულტურის, უნდა მისცეს საქართველოს მომავალი, სადაც მოხდება ახალგაზრდობის განათლება და დიდ გზებზე გამოსვლა. სადაც თავს მოიყრის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი ჩვენი კულტურა, სადაც განმტკიცდება ქართველი ხალხის სიბრძნე და მოქმედების უნარიანობა, სადაც ჩვენი მეცნიერთა დიადი მოღვაწეობა მსოფლიო ღირებულებას მისწვდება.

მაგრამ არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც ჩვენს აღფრთოვანებას ფრთებსა ჭკვეცავს. თუ ამ ოცი წლის განმავლობაში ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრება ბეწვზე ხშირად ეკიდა, იგი ეხლა ჯაჭვზეა დაბმული. ყოველი მეცნიერისათვის და მოსწავლისათვის სავალდებულოდ გადაიქცა ხშირ-ხშირი განმეორება იქაური პოლიტიკური შელოცვებისა, რის გარეშე, ეტყობა, ძნელი ყოფილა თავისა და უნივერსიტეტის შენარჩუნება, მაგალითად: „გაუმარჯოს პირველ მეცნიერ-გენიოს სტალინს (?!) ან „ძირს ფაშისტური დივერსანტები მოღალატენი“ და სხვ.

ი. ო—რი.

საქართველოს საზღვრები

გამოცხადებული ოფიციალურად დამოუკიდებლობის დროს.

I. ჩრდილოეთით: საზღვარი იწყება მდინარე მაკოფსეს შესართავთან, და მიჰყვება ჯერ მდინარე მაკოფსეს ვიდრე სათავეებამდე (დიდი ფსეთეშხოს მწვერვალამდე) აქეთგან გამყოფ ხაზს, რომელიც გასდევს მდინარეების ტუაფსეს და აშეს შუა, ვიდრე კავკასიის მთავარ წყალთა გამყოფ ქედამდე; შემდეგ საზღვარი მიჰყვება კავკასიის მთავარ წყალთა გამყოფ ქედს ვიდრე საქართველოს პროვინცია ხევამდე (ვაინქ-ფარსის მწვერვალამდე) აქეთგან საზღვარის ხაზი მიჰყვება კავკასიონის პირიქითულ მთაგრეხილს, რომელიც სევერაუტის, შაუხოხის, ქაიჯანის და ჩახის მწვერვალებზედ გავლით გადასჭრის მდ. თერგის ხეობას სოფ ლარსითგან ორი კილომეტრის ჩრდილოეთით; შემდეგ საზღვრის ხაზი გასდევს იმ უწინდელ ადმინისტრატიულ ხაზებს, რომელს ეწოდებოდა ტფილისის გუბერნია და ზაქათალის ოლქი, ვიდრე მწვერვალამდე 11,389 ფუტის სიმაღლისა (ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ მიჯნაზედ).

II. აღმოსავლეთით: საზღვარი მიჰყვება ჯერ მთავრეხილს, რომელიც ჩამოვარდება მდ. ყაშყა-ჩაის კავკასიონის ქედის ზემოხსენებული 11,389 ფუტის სიმაღლის მწვერვალითგან, და ქასაპის მწვერვალზედ გავლით მიადგება მდ. ყაშყა-ჩაის სათავეს; აქეთგან საზღვარი მიჰყვება მდ. ყაშყა-ჩაის ვიდრე აგრიჩაისთან შერთვამდე, ხოლო შემდეგ საზღვარია პირდაპირი ხაზი, გავლებული ზეოხსენებული შესართავი პუნქტიდან ვიდრე მტკვარ-არაზნის შესართავამდე; აქედან საზღვარი მიჰყვება ჯერ მდ. მტკვარს ვიდრე მდ. ძეგამის შესართავამდე, ხოლო შემდეგ მდ. ძეგამს ვიდრე სათავეებამდე (ალლა-მელარის მწვერვალებამდე მტკვარ-არაქსის წყალთა გამყოფ ქედზედ).

III. სამხრეთი საზღვარი: მტკვარ-არაქსის წყალთა გამყოფი ქედი, დაწყებული მდ. ძეგამის სათავითგან (ალლა-გელარის მწვერვალითგან), ვიდრე ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრამდე აქედან მოყოლებული შავ ზღვამდე.

IV. დასავლეთით: შავი ზღვა.

საქართველოს ტერიტორიის სივრცე ოთხკუთხედ კილომეტრებით

(აქ მხედველობაშია მიღებული არა დღევანდელი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორია, არამედ ის ტერიტორია, რომელზედ საქართველოს აქვს სრული პოლიტიკური უფლება)

I. აღმოსავლეთ საქართველო	36,184 კვ. კილ.
1) აღმოსავლეთ საქართველოს სანაპიროები:	
ა) ქვედა ყარაიაზი და წინა მინდორი	1200 „ „
ბ) ბამბაკის ხეობა	1040 „ „
გ) ყაზახი	5408 „ „
დ) ზაქათალა მდ. ყაშყა-ჩაიმდე	3564 „ „
II. დასავლეთ საქართველო	21,556 „ „
III. სამუსულმანო საქართველო (სამცხე-საათაბაგო. აქ შედიან: ახალციხე - ახალქალაქი თავისი მაზრებით, ბათომი თავისი მიდამოებით, ფოცხოვის ნაწილი, არტაანის და ოლთისის მიდამოები	21,393 „ „
ს უ ლ :	102,572 კვადრ. კილ-რი.

რასაკვირველია, საქართველოს ის ტერიტორია, რომელიც დღეს შედის რუსეთის ფარგლებში, ჩვენი ქვეყნის იმ ორგანულ ნაწილთა დამატებითაც კი რომელთ გაბატონებულმა ხელისუფლებამ აჭარისტანის, აფხაზეთის და ოსეთის რესპუბლიკები უწოდა, ზემოდ აღნიშნულ ტერიტორიის სივრცეზედ შესამჩნევად ნაკლებია და კომუნისტების 1922 წ. სტატისტიკის ცნობით უდრის მხოლოდ: 72,406 ოთხკუთხ კილომეტრს.

ამნაირად, საქართველოს თვით ის ტერიტორიაც-კი, რომელს მოსკოველმა ბატონმა ყოველი მხრითგან წაკვეცა ეროვნულ-ორგანიული ნაწილები, უფრო ვრცელია, ვიდრე ტერიტორიები შემდეგი ქვეყნებისა: შვეიცარია, ბელგია, დანია, ლეტონია, ლატვა, ესტონია, ალბანეთი და სხვ.

აი შედარებითი ცნობები თითო ოთხკუთხედ კილომეტრზე მცხოვრებთა რიცხვისა:

თითო კვ. კილ საქართველოში სცხოვრობს	36,3 სული
„ „ შვეიცარიაში „	103,2 „
„ „ ბელგიაში „	286,4 „
„ „ ნორვეგიაში „	8,4 „
„ „ ჩრდ. ამერიკის შეერ. შტატებში	13,3 „
„ „ დანიაში „	80,9 სული.

საქართველოს დღევანდელ სახელმწ. მიწის სივრცე ჰექტარებით

I. დასავლეთ საქართველო	2,082,332
II. აფხაზეთი	903,900
III. აჭარა	284,606
IV. აღმოსავლეთ საქართველო	3,538,017
V. სამხრეთ ოსეთი	431,553
ს უ ლ :	7,240,408 ჰექტარი.

თეთრი გიორგელი

საქართველოში

„ლიტერატურული საქართველო“ს ცნობით: საქართველოს სიძველეთა საცავებში პროფესორ ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა პერგამენტები, რომელნიც მოგვიანო დამწერლობის ქვეშ თურმე გადარეცხილ უძველეს ტექსტებს შეიცავდნენ. ახლა ამ პალიმფსესტების პირვანდელი სახე აღდგენილია და წაკითხული.

ამ აღმოჩენით ყველასათვის საყვარელმა მეცნიერმა ქართულ დამწერლობის ისტორიაში ძირეული შემობრუნება გამოიწვია და შუქი მოჰფინა ქართული ძველის ძველ ენას, რომელზედაც ჩვენი წინაპრები თხუთმეტიოდე საუკუნის წინად ლაპარაკობდნენ, ენა განვითარებული, ლიტერატურული და მაღალ კულტურული.

— 30 მაისს ტფილისში მოეწყო ზეიმი საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებლის არსებობის 20 წლის თავის აღსანიშნავად. საზეიმო კრებას „უდიდესი აღფრთოვანებით“ მიუღია წინადადება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ..... დაცინვაც ასეთი უნდა!

სპორტი

„შევარდენი“

ქართული სპორტიული საზოგადოება „შევარდენმა“ გასულ თვეს კალათ ბურთის შეჯიბრში დაამარცხა ფრანგული გუნდი.

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ქართველი ახალგაზრდობა დიდ ხალისს იჩენს „შევარდენისადმი“. უკანასკნელ ხანებში მას ბევრი ახალი წევრები მიემატენ.

„შევარდენის“ ხელმძღვანელთა დაუღალავი მუშაობით მოწყობილ საღამოებიდან შემოსული თანხებით ხუთი ავადმყოფი ახალგაზრდა გაიგზავნა დასასვენებლად. მიმდინარე ზაფხულშიც აპირებენ „კამპინგის“ მოწყობას

მარიამ კერესელიძეს რეკორდი

ქ. ტანჟეროში, ამა წლის 23 აპრილს დიპლომატიური კორპუსის მიერ მოწყობილ „სტიპლ ჩეზზე“ (3 ნახევარი კილომეტრი), სადაც საუკეთესო ჯიშისა და წმინდა სისხლის ტხენები იღებდნენ მონაწილეობას „თ. გ.“ მთავარი მდივნის ქალიშვილმა, 16 წლის მარიამ კერესელიძემ 150 მეტრით ყველას გაასწრო. ამ ცნობილ დოღზე მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე მსოფლიოში განთქმული ცხენოსანი ქ-ნი ბარონი ლეუჰუზენი.

გამარჯვებული ცხენი აღზრდილია ლეო კერესელიძის მიერ დაარსებულ საცხენოსნო სკოლაში ტანჟეროში,

სამი დღის შემდეგ, 26 აპრილს მის მიერ გახედნილ ცხენით მარიამ კერესელიძემ ხუთ დღეში გაიარა 440 კილომეტრი ტანჟეროდან კაზაბლანკამდე.

ადგილობრივი გაზეთების ცნობით გზა იყო მეტად ძნელად გასავლელი, მთა — 120 კილომეტრის მანძილზე, ქარიშხალი, წვიმა, სეტყვა და სხვა ბევრი დაბრკოლებანი შეხვდა 16 წლის ცხენოსანს, მაგრამ მიუხედავად ყველა სიძნელეთა, მან მაინც აიღო რეკორდი და მიღებულ იქმნა კაზაბლანკაში აუწერელი ენტუზიაზმით და აღფრთოვანებით. მთელი ქალაქი, სადაც ამ დროს საერთაშორისო გამოფენა იყო მოწყობილი, ფეხზე იდგა. „ლე პეტიტ მაროკენ“ის ცნობით კაზაბლანკამდის რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე პოლიცია ძლივს აკავებ-

მ. კერესელიძე ვარჯიშობის დროს

და ხალხს, რომელიც დაუსრულებელი ოვაციით ხვდებოდა ახალგაზრდა ამაზონს. კაზაბლანკაში მარიამ კერესელიძეს მიეგებენ მთავრობის, პრესის და გამოფენის წარმომადგენლები, მის საპატივცემლოდ გაიმართა ბალები და ბანკეტები. ადგილობრივმა საცხენოსნო კლუბმა მას საპატიო წევრობა უბოძა.

მაროკოს პრესამ 26 აპრილიდან 3 მაისამდე ბევრი აღტაცებული წერილები მიუძღვნა ამ რეკორდს.

უადგილობის გამო აღვნიშნავთ წერილების ზოგიერთ სათაურს და ნაწილს:

Le Petit Marocain : « La vaillante écuyère M-lle Keresselidzé fera son entrée à la Foire de Casablanca, demain à 11 heures. » « Une étonnante écuyère arrive... »

La Dépêche Marocaine : « Mlle Keresselidzé a fait dimanche une entrée triomphale à Casablanca. »

La Dépêche Marocaine : « Mlle Keresselidzé, l'héroïne du raid Hippique Tanger - Casablanca est depuis hier de retour parmi nous. »

Tanger-Riviera : « Le record de Mlle Keresselidzé « Tanger-Casablanca à cheval » est de 440 kilomètres en 5 jours. Nos confrères de la grande presse quotidienne ont déjà tout dit sur le raid, magnifique et courageux, entrepris par notre jeune collaboratrice, Mlle Maryem Keresselidzé. Malgré un temps épouvantable, la jeune fille et le cheval « Taté », ont été, par monts et par vaux, sous le vent, la grêle, la pluie diluvienne, admirables de tenacité. Acclamée et ovationnée tout le long de sa route, tant en zone espagnole qu'en zone française, Mlle Keresselidzé est arrivée à Casablanca fraîche comme un bouton de rose. »

წერილების გარდა ყველა ჟურნალ - აზეთებმა მოათავსეს მარიამ კერესელიძისა და მისი ცხენის სურათები. თავის მამასთან ერთად მარიამ კერესელიძე არის წევრი ტანჟეროს დიპლომატიურ კორპუსის საცხენოსნო საზოგადოებისა. მისი ნათლიებია ინგლისისა და იტალიის ელჩები. გარდა ამისა ის ხელმძღვანელობს დიპლომატიური კორპუსის სანადირო საზოგადოებას ინგლისელ ენერლის ბენიონის ცოლთან ერთად.

ს. ჯილაური

ილია ჭავჭავაძის საღამო ბრიუსელში

ჩვენი დიადი ეროვნული მწერალისადა, მოღვაწეს ხსოვნის აღსანიშნავად, ბრიუსელის ქართველობამ მოაწყო ლიტერატურული საღამო.

დარბაზს ამშვენებდა ილიას სურათი საჭეელი დროშით შემკობილი, რაც სასიამოვნო შინაურ სულისკვეთებას ქმნიდა დამსწრეთა შორის, რომელიც შესდგებოდა აქაურ ქართველებს გარდა უცხოელ მეგობართა და უკრაინელთა წარმომადგენლებისაგან.

თავის ვრცელ მოხსენებაში ბ. მ. ტუღუშმა ზოგადათ მიმოიხილა მაშინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან დაკავშირებით განიხილა ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე და მრავალმხრივი მოღვაწეობა.

მოხსენებას თან ახლდა ზეგერსის ასულის მიერ საუცხოვოდ წარმოთქმული ილიას ლექსები ფრანგულად, რომლებიც ჩინებულად იქმნენ გადათარგმნილნი მამა დავით ამან დე მანდიეტას და ბ. ი. ჯაფარიძის მიერ.

სასიამოვნო იყო აგრეთვე ქართული გუნდი, განსაკუთრებით ქართველ ქალთა შემწეობით, რომლებმაც შეასრულეს ილიას „რა კარგი რამ ხარ“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“ და სხვ.

ბოლოს ბ. ი. ოთხმეზურმა წაიკითხა თავისი ლექსი ამ დღისათვის ილიასადმი მიძღვნილი.

დამსწრე

ქ. ბრიუსელი.

ემიგრაციაში

უღრმეს მადლობას ვწირავ ყველას, ვინც ჩემი ძვირფასი ძმის ვასილ წერეთლის გარდაცვალების გამო სამძიმდით მომმართა.

მიხეილ წერეთელი

ქაქუცას საფლავზე

ამა წლის 26 ივნისს სენტ-უანის სასაფლაოზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი ჩვენი ეროვნული გმირის მოსახსენებლად.

— მიმდინარე წლის 12 ივნისს რომში შესდგა საღამო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 20 წლის თავის აღსანიშნავად.

იტალიის პრესა დიდი თანაგრძნობით შეხვდა ჩვენ ეროვნულ დღესასწაულს და მხურვალე წერილები მიუძღვნა საქართველოს საკითხს.

მასალების დაგვიანებით მიღების გამო ვრცელი ანგარიში მოთავსდება შემდეგ ნომერში.

ახალი წიგნი

გამოვიდა პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის შრომა: „არქეოლოგიური ექსპედიციები ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ.“ ეს მაღალხარისხოვანი და საინტერესო წიგნი შეიცავს 440 გვერდს და ღირს 60 ფრანკი.

პატივცემულ პროფესორს დამზადებული აქვს გამოსაცემად მეორე წიგნი, სადაც მოთავსებული იქნება სამუსულმანო საქართველოს ძეგლების აღწერა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართული ემიგრაცია კიდევ გაიღებს მსხვერპლს და თავისი ღარიბი ჯიბით დაეხმარება ბ. ექვთიმე თაყაიშვილს ამ მეორე წიგნის გამოცემაშიც.

საზოგადოების საყურადღებოდ

1934 წ. იანვარში „თეთრი გიორგის“ დარაზმულობიდან გარიცხულ სეხნიაშვილ - მანველიშვილმა კვლავ გამოსცეს გაზეთი „მომავალი“ და განაგრძობენ უტიფრად „თეთრი გიორგი“ს სახელწოდების მითვისებას.

ამით ვაცხადებთ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ „თეთრი გიორგი“ს დარაზმულობას არაფერი აქვს საერთო ამ ვაჟბატონებთან, რომელნიც გადაიქცენ ჩვენი დარაზმულობის მტრების ბრმა იარაღად.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ ბევრი ვეცადეთ გადაგვერჩინა სეხნიაშვილ - მანველიშვილი პოლიტიკურ და მორალურ დაცემა გაკოტრებისაგან, მაგრამ სამწუხაროო ჩვენმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

4 წლის განმავლობაში მათმა მოქმედებამ მჭერმეტყველურად დაადასტურა 1934 წ. გარიცხვის ბრძანებაში მოყვანილი ბრალდებები.

„თეთრი გიორგი“.

AVIS DE L'ORGANISATION

MM. S. Sekniqchvili et A. Manvelichvili qui ont été exclus des rangs de l'organisation de « Théthri-Guiorgui » en 1934 ont fait paraître le mois de mai passé le journal l' « Avenir » dans le sous-titre duquel ils usurpent du nom de « Théthri-Guiorgui ».

Nous déclarons qu'il n'existe aucun lien entre le « Théthri-Guiorgui » et le journal l' « Avenir », dont la parution ne peut que servir les manœuvres des marxistes géorgiens ennemis de notre mouvement. Nous portons à la connaissance du public que l'organisation « Théthri-Guirgui » décline toute responsabilité pour les agissements de MM. Sekniachvili et Manvelichvili ainsi que de leur journal l' « Avenir ».

Le Secrétariat Général.

L'adresse de l'administration :
160, rue St-Charles, Paris.

La gérante : Mme V-ve Posteaux.

Imprimerie de Navarre — 5. rue des Gobelins. Paris (13).